ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა მ ტ რ ე დ ი ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
N 38 17
ბრძანება

13/02/2020

ნორა იანიკოვთან სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ფუნქციების განაწილების შესახებ

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 04 ივნისის N25 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის უფროსის, მოვალეობის შემსრულებელთან, ნორა იანიკოვთან, განისაზღვროს სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების ფუნქციები:

   1.1 საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების და საკრებულოს თანამდებობის პირების ეფექტური საქმიანობისათვის მოახდინოს შესაბამისი პირობების შექმნა.

   1.2 საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ, ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივ მოსახლეობასთან.

   1.3 საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობათა პირების უზრუნველყოფა, საინფორმაციო-ანალიტიკური მასალით ცალკეულ დარგებში, მიმდინარე მუშაობისა და შექმნილი მდგომარეობის მიხედვით.

   1.4 საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების ზედამხედველობა და მათი კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. საჭიროების

შემთხვევაში დასაბუთების საფუძველზე სამართლებრივი აქტების გაუქმება,შეჩერება ან მასში ცვლილებების შეტანა.

1.5 საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რეგისტრაციის, მათი აღრიცხვის, სისტემატიზაციის და დადგენილი წესით, ორგანიზების გაწევა.

1.6 საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის შემუშავება და მის განხორციელებაზე ზედამხედველობა.

1.7 საკადრო პოლიტიკის განხორციელება და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მათი ზედამხედველობა.

1.8 საკრებულოს, საკრებულოს თანამდებობათა პირების დავალებების შესრულება, რომელიც უკავშირდება მათი უფლებამოსილების განხორციელებას.

1.9 საკრებულოს ნორმატიული აქტების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ასევე საკრებულოს დადგენილებების განთავსება ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს'' ოფიციალურ ვებ-გვერდზე.www.matsne.gov.ge.

1.10 საკრებულოს რეგლამენტით, დებულებით და საკრებულოს თავმჯდომარის სხვა დავალებების შესრულება.

1.11 სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმისწარმოებით დასრულებული საქმეების დაცვა და შენახვა.

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

საკრებულოს თავმჯდომარე